სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080160200976022

№ 1337 19 / აპრილი / 2022 წ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2022 წლის 15 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის SMP220001135 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდული ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა სოფ. ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოების (CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვა, ღირებულებით - 3455 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, მიმდინარე წლის 10 აპრილს მუნიციპალიტეტს ეცნობა, რომ ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის ერთ-ერთი მონაკვეთი ძლიერი წვიმების შედეგად ჩაიქცა და გზა გაუმტარი გახდა. ვერ ხერხდებოდა ვერც სახანძრო და ვერც სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის გადაადგილება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო სოფ. ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის

თანახმად, მიმდინარე წლის 10 აპრილს მუნიციპალიტეტს ეცნობა, რომ ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის ერთ-ერთი მონაკვეთი ძლიერი წვიმების შედეგად ჩაიქცა და გზა გაუმტარი გახდა. ვერ ხერხდებოდა ვერც სახანძრო და ვერც სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის გადაადგილება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო სოფ. ალპანა-ღვირიშის საავტომობილო გზის აღდგენითი სამუშაოების შესყიდვა.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-13 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე